სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/19

ქ. თბილისი

26 ოქტომბერი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და მისი ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 05 თებერვლის საბჭოს სხდომის №1 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „წყლის რესურსების ინჟინერია“, ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ზურაბ გვიშიანი;
2. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „წყლის რესურსების ინჟინერია“, ხელმძღვანელი – პროფესორი ირმა ინაშვილი;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**